



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

საექთნო საქმის (ბეზიაქალი) ბაკალავრის პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

26.08.19

დასკვნის წარდგენის თარიღი

22/10/19

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმის (ბეზიაქალი) ბაკალავრის პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0905 საექთნო საქმის (ბეზიაქალი) ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ დაუსი სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე თოიძე სამედიცინო კორპორაცია ევექსი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა აბუანდამე „ვაზაკო“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

2009 წლიდან პროექტის „ბებიაქალთა ცოდნისა და უნარების განახლება საქართველოში“ ფარგლებში თსსუ-ში როტერდამის (ნიდერლანდები) ბებიაქალთა უნივერსიტეტის მხარდაჭერით მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების კურიკულუმი. აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციის (ICM), გინეკოლოგთა და მეანთა საერთაშორისო კონფედერაციის (FIGO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები და გაიდლაინები. პროგრამა შეჯერებულია საქართველოს სამედიცინო განათლების სისტემასა და თსსუ-ს მისიასთან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2011 წლიდან ამოქმედდა საექთნო საქმის (ბებიაქალი) საბაკალავრო პროგრამა, რომლის მიზანია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიმართულებით, დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბება. პროგრამის მიზანს წარმოადგენს მეცნიერებების დეტალური ცოდნის ათვისება და გაღრმავება, რომელსაც ეფუძნება ბებიაქალის საქმიანობა, კერძოდ:

- ✓ ბებიაქალის საქმე, მეანობა და გინეკოლოგია;
- ✓ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი და შესაბამისი პროფესიული ეთიკისა და კანონმდებლობის ადეკვატური ცოდნა;
- ✓ ზოგადი სამედიცინო განათლება (ბიოლოგიური ფუნქციები, ანატომია, ანატომია და ფიზიოლოგია) ასევე მეანობასა და ახალშობილთან დაკავშირებული ფარმაკოლოგიის ცოდნა. ასევე ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის ფიზიკურ და სოციალური გარემოს შორის ურთიერთკავშირის ცოდნა;
- ✓ შესაბამისი კლინიკური გამოცდილება, რომელიც საშუალებას აძლევს ბებიაქალს დამოუკიდებლად და მისი უშუალო პასუხისმგებლობით, აუცილებლობის ფარგლებში და გარდა პათოლოგიური სიტუაციებისა, განახორციელოს მშობიარობამდე მოვლა, მიიღოს მშობიარობა და გაუმკლავდეს შედეგებს; ასევე მშობიარობისა და დაბადების, მშობიარობის შემდგომ მოვლისა და ახალშობილთა რეანიმირების ზედამხედველობა პრაქტიკოსი ექიმის მოსვლამდე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2018 წლის 26 აგვისტოს სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შედგა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თამარ დაუსი - თავმჯდომარე, მარინე თოიძე - წევრი, ეკა ბაჟანდამე, - წევრი, ანი ბილანიშვილი- წევრი) ვიზიტი, რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი საექთნო საქმის

(ზეზიქალი) საგანმანათლებლო ბაკალავრის პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსი, კერძოდ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სიმულაციური ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კლინიკური ბაზა. ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებების და ძირითადი მიზნების მათთვის გაზიარების მიზნით.

იმავ დღეს განხორციელდა ვიზიტი თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკაში.

ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა შემდეგი განყოფილებებში:

- ✓ ინტენსიური თერაპიის განყოფილება;
- ✓ შინაგანი მედიცინის დეპარტამენტი (პირველი დონის ინტენსიური თერაპიის ჩათვლით);
- ✓ სამეანო განყოფილება;
- ✓ ლაბორატორია;

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი 1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

სტანდარტი 2 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტი 3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

სტანდარტი 4 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- აგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- რეკომენდაციები
 - ✓ სწავლის პროცესის მიზან-შედეგობრივად წარმართვის მიზნით, პროცესში დამსაქმებლის მეტად ჩართვა;
 - ✓ საჭიროა კავშირი კლინიკური დისციპლინებისა და ბაზისურ სამეცნიერო დისციპლინების ლექტორებს შორის, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს სილაბუსის ცვლილებებსა და განვითარებას;
 - ✓ მნიშვნელოვანია სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ უნარი მოიძიონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სარწმუნო ინფორმაცია;
 - ✓ ბებიაქალზე მორგებული მეტი საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნა - ამ გზით ბაკალავრი ბებიაქალი პროგრამის სტუდენტი გაეცნობა პაციენტების საფუძვლიან საექთნო შეფასებას, საექთნო პროცესს, ბებიაქალსა და პაციენტს შორის კომუნიკაციას, კულტურულ განსხვავებებს, ჯანმრთელობის ფუნქციონალურ ასპექტებსა და საექთნო პრაქტიკის მთლიან ჩარჩოს;

პრაქტიკული კრედიტების გაზრდა. თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას (120 ECTS თუ 1 კრედიტი =30სთ-ს). ორსული ქალის კონსულტირება, სულ მცირე 100 პრენატალური ვარჯიშის ჩათვლით; სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა; სტუდენტის მიერ სულ მცირე 40 მშობიარობის მიღება, სადაც ეს რაოდენობა ვერ მიიღწევა დაწესებულებაში საკმარისი მშობიარე ქალების არ ყოფნის გამო, მაშინ რაოდენობა შეიძლება შემცირდეს 30-მდე, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ასისტირებას გაუწევს შემდეგ 20 მშობიარობას; აქტიური მონაწილეობა არასწორ პოზიციაში მყოფი ბავშვის მშობიარობისას, სადაც ეს შეუძლებელია ასეთი შემთხვევების არარსებობის გამო, პრაქტიკა უნდა განხორციელდეს სიმულაციების მეშვეობით; ეპისტომის გაკეთება და ქირურგიული გაკერვის ინიცირება. ინიცირება მოიცავს თეორიულ ინსტრუქტაჟსა და კლინიკურ პრაქტიკას; სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი; სულ მცირე 100 მშობიარობის შემდგომი/ახლად ნამშობიარეები ქალისა და ჯანმრთელი ახალშობილის ზედამხედველობა და

მოვლა (გასინჯვის ჩათვლით);¹ (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში, DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System ('the IMI Regulation'²))

- ✓ ხელშეკრულება მეტ პრაქტიკულ ბაზებითან;
- ✓ სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ბებიაქალის (ინსტრუქტორის) ჩართულობა-კლინიკურ ინსტრუქტორებს (ბებიაქალი) მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ მომავალი ექთნის აღზრდაში. კადრი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული ბებიაქალის პრაქტიკაში, ასევე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში, რაშიც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტი;
- ✓ სწავლების მეთოდებსა და ფორმებთან დაკავშირებით მოხდეს თვითშეფასებისა და სილაბუსების შემდეგ კანონთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No3 2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, შესაბამისობაში მოყვანა.
- ✓
- ✓ პრაქტიკის გამნახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მეტი კონტროლი, დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა და მოხდეს მათი ახლო მონიტორირება, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ ძირეულად შეისწავლონ საკითხი;
- ✓ მნიშვნელოვანია სასწავლო ლიტერატურაზე იყოს შეუფერხებელი წვდომა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ინტერნაციონალიზაციის საკითხში სტუდენტების აქტიური ჩართულობა;
- ბიბლიოთეკაში სამკითხველო სივრცის მოდერნიზება, რაც უფრო კომფორტულს გახდიდა მის მოხმარებას;

¹ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში ასოცირება მუხლი 359

² DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System ('the IMI Regulation')

- ინგლისური ენის შესწავლის საკითხის განხილვა;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - ერასმუს+ გაცვლით საკრედიტო პროგრამის ფარგლებში ლატვიის უნივერსიტეტში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისება;

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 - დაემატა ახალი სასწავლო კურსები: შინმოვლა და დარგობრივი ერგონომიკა;
 - გაძლიერდა გერმანული ენის შესწავლა;
 - გაიზარდა არჩევითი დისციპლინების რაოდენობა და წილი;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საექთნო საქმის (ბებიაქალი) საბაკალავრო პროგრამა დაგეგმილია როგორც 4 წლიანი კურიკულუმი, რომელიც მომზადებულია როტერდამის (ნიდერლანდები) ბებიაქალთა უნივერსიტეტის მხარდაჭერით და გაწერილია 8 სემესტრზე. კურიკულუ მოიცავს დარგისთვის რელევანტურ ყველა საბაზისო და კლინიკურ დისციპლინებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია რეგულაციებთან, თავსებადია სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მისიასთან და ემყარება საგანმანათლებლო პედაგოგიკის ფართოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამის საერთო მიზანი მარტივადაა ჩამოყალიბებული და ეფექტურად უნდა განხორციელდეს პროგრამის წარმოდგენილი დიზაინით. პროგრამის პრაქტიკული ნაწილი მოიცავს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას უშუალოდ მშობიარობის და ანტე- და პოსტნატალური მოვლის პროცესში. ისინი ეცნობიან პრეკონცეფციის, ანტენატალური მოვლის და სექსუალურად გადამდები დაავადებების მართვის საკითხებს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც უშუალოდ პაციენტის, ასევე საზოგადოების განათლების პროცესში, რასაც სახელმწიფოს საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია. სტუდენტები შეისწავლიან ახალშობილთა მოვლას და მასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს, რაც ასევე მნიშვნელოვანია ზოგადად, დედათა და ბავშვთა დაავადებისა და სიკვდილიანობის

შემცირების სტრატეგიაში. კლინიკური ბაზები იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ასევე, თანამედროვედ აღჭურვილი ტრენინგებისა და სიმულაციების ცენტრი სტუდენტებს აძლევთ შესაძლებლობას რომ დეტალურად შეისწავლონ ის პროცედურები და მანიპულაციები, რისი შესრულებაც მათ მოუწევთ შემდგომში პაციენტებთან.

პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტებმა ინტერესის შემთხვევაში გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით მათი არჩევანის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის უცხოელი პარტნიორების ხელშეწყობით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ მათი კოლეგების საქმიანობას ნიდერლანდებში და უშუალოდ დააკვირდნენ ევროპულ სამედიცინო დაწესებულებაში მიმდინარე სამკურნალო და პაციენტების მოვლის პროცესებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედეგები მკაფიო და ხარისხის დონის შესაბამისია. ისინი სრულად შეესაბამება სტანდარტებს და ეს ნათლად ჩანს პროგრამის დოკუმენტებიდან. პროგრამის ბუნება უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები თავიდანვე იძენენ თეორიულ ცოდნას, ეცნობიან ბაზისურ მეცნიერებებს და შემდეგ პრაქტიკულ ნაწილში მათ აქვთ საშუალება, რომ მოახდინონ თეორიულად შეძენილი ცოდნის რეალიზება.

შეფასების მეთოდები (როგორც ფორმატული, ისე შემაჯამებელი) შეესაბამება საქართველოს ეროვნულ მოთხოვნებს და მოიცავს MCQ-ს, პრობლემის ანალიზს,

პროცედურული უნარებზე პირდაპირ დაკვირვებას (DOPS), შემთხვევის პრეზენტაციებს, მანკვენების, პორტფოლიოების შესაბამის გამოყენებას.

დეტალური დოკუმენტები ახდენენ კურიკულუმსა და შეფასებებს შორის კონსტრუქციული შესაბამისობის დემონსტრირებას.

აკადემიური პერსონალი დატრენინგებულია ვალიდური და საიმედო შეფასების შექმნაში და შეფასების განხორციელებაზე თანმიმდევრული სტანდარტით.

სტუდენტებს ეძლევათ დროული გამოხმაურება გამოცდაზე შეფასების ძირითად სახეებზე, მათ, ასევე, ეძლევათ დროული გამოხმაურება ყოველი შემაჯამებელი შეფასებების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები არ ეთანხმებიან შეფასებას და მათ სურთ შემდგომი განხილვა, მათ ეძლევათ ამის საშუალება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტუდენტები დაიშვებიან პროგრამაზე სრული ზოგადი განათლების საფუძველზე საქართველოს ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად. დაშვების, შეჩერებისა და შეწყვეტის საუნივერსიტეტო პოლიტიკას განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეები პროგრამაზე ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ საგნებში. თსსუს საექთნო საბაკალავრო (ბებიაქალი)

<p>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს მე-4 არჩევითი დისციპლინის სახით ოთხი დისციპლინიდან (ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა) სთავაზობს ერთ-ერთის არჩევას, რომლის კოეფიციენტიც 3, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25%+1.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საექთნო საბაკალავრო (ბებიაქალი) საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ მისაღები კონტიგენტის რაოდენობა, არჩევითი დისციპლინები, მათი პრიორიტეტები, შესაბამისი კოეფიციენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ა.შ. განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ✓ საგანმანათლებლო პროგრამა-საექთნო საქმე (ბებიაქალი) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მოზილობის, შიდა მოზილობის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი; ✓ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>არ არის</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არ არის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

□არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად გარკვეულწილად მონაწილეობენ დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამათავრებულები. დამსაქმებელთან საჭიროა მეტი მუშაობა, რადგან გასაუბრებისას არ გამოვლინდა მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროგრამისა და შინაარსის აგების მხრივ. ეს შეიძლება აიხსნას დამსაქმებლის პასიურობით, რადგან ამ ტიპის ჩართულობა მათთვის უცხო პრაქტიკაა. დამსაქმებელმა დაადასტურა, რომ კურსდამათავრებულს დასაქმებამდე ესაჭიროებოდათ სტაჟირებისა და დასაქმების წინა გადამზადების პერიოდი.

პროგრამის შინაარსი მოიცავს: ბებიქალის საქმიანობის ფილოსოფიას და ისტორიული განვითარების თავისებურებებს, ეთიკურ ღირებულებებს, ბაზისური მეცნიერებებს, სამედიცინო ტერმინოლოგიას, სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, IT ტექნოლოგიებს, ბიოსამედიცინო სტატისტიკის საფუძვლებსა, ავადმყოფის მოვლას, პაციენტის (ორსული, მელოგინე, ახლაშობილი) მოვლის ბაზისურ მართვას სხვადასხვა პათოლოგიების დროს, ინვაზიური და არაინვაზიური პროცედურების წარმოებას, დოკუმენტაციის შევსების წესებს.

სტუდენტები შეისწავლიან ფარმაკოლოგიას, რომელიც სტუდენტს ასწავლის ფარმაკოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპებს, უღრმავებს ცოდნას ძირითადი ფარმაკოლოგიური ჯგუფების შესახებ, კომპეტენციის ფარგლებში სამკურნალო საშუალებების დანიშვნისა და უსაფრთხო გამოყენების წესებს. აღსანიშნავია ბიოქიმიისა და

ფარმაკოლოგიის ლექტორის ახლო კავშირი სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. საჭიროა ამგვარი კავშირის სიმრავლე და მუდმივობა კლინიკური დისციპლინების ლექტორებსა და ბაზისურ სამეცნიერო დისციპლინების ლექტორებს შორის, რომელიც უცილობლად გამოიწვევს სილაბუსის ცვლილებებსა და განვითარებას.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა დაავადების საფუძვლებს, დიაგნოსტიკასა და თერაპიას, საექთნო საქმის (ბებიაქალი) პროცესის ხუთ საფეხურს, ჯანმრთელობისა და ავადობის სქესობრივი ასპექტების, ფერტილობის რეგულაციის რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობას, სქესთა თანასწორობის იურიდიულ ასპექტებს, ბავშვთა უფლებებს, მდედრობითი სქესის მდგომარეობას ქვეყანაში, ძალადობას, ტრეფიკინგს და პროსტიტუციას, მავნე ტრადიციებს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და აივ ინფექციის კონტროლის პრონციპებს, პრეკონცეფციასა და ანტენატალური ზრუნვის მნიშვნელობას.

სტუდენტი ეუფლება ფიზიოლოგიური მშობიარობის ზედამხედველობას, ხოლო შემგომ დამოუკიდებლად მიღებას. ხელოვნდება ორსულის ზოგადი მდგომარეობის შეფასებაში, ნორმიდან ნებისმიერი დევიაციის იდენტიფიცირებაში იძენს კრიტიკული აზროვნების უნარს დროული და შედეგზე ორიენტირებული ქმედების გატარების მხრივ. ცოდნას იძენს ახალშობილის, დედისა და ჩვილის მართვაში მშობიარობიდან პირველი საათის განმავლობაში. ცოდნას იძენს შემდეგ საკიხებზე: პოსტნატალური ზრუნვა, დედისა და ჩვილის მშობიარობის შემდგომი მოვლა, ახალშობილის ორგანიზმში დაბადებისას მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები, ქალზე ზრუნვა ლოგინობის პერიოდში, ერთი თვიდან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის მოვლა, ჰიგიენისა და ინფექციისგან დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა-საექთნო საქმე (ბებიაქალი);
- პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტებთან გასაუბრებით მიღებული ინფორმაცია;
- ლექტორებთან გასაუბრებით მიღებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

- ✓ სწავლის პროცესის მიზან-შედეგობრივად წარმართვის მიზნით, პროცესში დამსაქმებლის მეტად ჩართვა;

<p>✓ საჭიროა კავშირი კლინიკური დისციპლინებისა და ბაზისურ სამეცნიერო დისციპლინების ლექტორებს შორის, რომელიც უცილობლად გამოიწვევს სილაბუსის ცვლილებებსა და განვითარებას;</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დამატა ახალი სასწავლო კურსები: შინმოვლა და დარგობრივი ერგონომიკა; ○ გაძლიერდა გერმანული ენის შესწავლა; ○ გაიზარდა არჩევითი დისციპლინების რაოდენობა და წილი;
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებსა და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსი უზრუნველყოფს იმ მეცნიერებების ცოდნას, რასაც ემყარება ბებიაქალის საქმე.

იგი მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, პაციენტთა განათლება - 13 ECTS
- ✓ დაავადებათა ეპიდემიოლოგია და მართვა-2 ECTS
- ✓ ქცევითი მეცნიერებები-6 ECTS
- ✓ ბიოლოგიური მეცნიერებები-51 ECTS
- ✓ კლინიკური დისციპლინები-41 ECTS
- ✓ საბებიო საქმე-85 ECTS
- ✓ კვლევითი უნარ-ჩვევები-4 ECTS
- ✓ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები-11 ECTS
- ✓ პროფესიული, ეთიკური და იურიდიული ასპექტები-2 ECTS
- ✓ ინფორმაციის მართვა და საინფორმაციო ტექნოლოგიები-3 ECTS
- ✓ მენეჯმენტი და ლიდერობა-4 ECTS

სტუდენტები ეცნობიან ჯანდაცვის და ბებიაქალის საქმის ზოგად პრინციპებს, იძენენ თეორიულ ცოდნასა და კლინიკური გამოცდილებას, ჩართულები არიან პასიურ და აქტიურ პრაქტიკულ მეცადინეობაში. პრაქტიკული უნარების შესწავლის მიზნით, მათი მეცადინეობები მიმდინარეობს, როგორ სიმულაციურ ლაბორატორიაში, ასევე კლინიკურ ბაზაზე.

განხილული დოკუმენტაცია იძლევა დადასტურებას, რომ სასწავლო კურსი შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამა არის თანმიმდევრული და გადის კვალიფიკაციის შესაბამის შედეგებზე.

ბებიაქალის სპეციფიკაზე მორგებული ლიტერატურის ნაკლებობა ზოგადად აღინიშნება ქვეყანაში და წარმოადგენს ბებიაქალის განათლების სუსტ რგოლს. უნივერსიტეტი იყენებს ქვეყანაში არსებულ ბებიაქალისთვის განკუთვნილ ლიტერატურას, <https://www.moh.gov.ge/>-ზე განთავსებულ გზამკვლევებს, შექმნილ კონსპექტებს - „ჰენდაუთებს“. სტუდენტების გადმოცემით მათ ინფორმაცია ორსულთა გართულებების შესახებ მაგალითად „ეკლამფსია“ მიიღეს <https://www.moh.gov.ge/>-ზე განთავსებული გზამკვლევის, პროტოკოლისა და სტანდარტის მეშვეობით. ზოგადად ამ ტიპის დოკუმენტებით განისაზღვრება მოქმედების კურსი, მათი შემუშავების მიზანს კი

წარმოადგენს კონკრეტული პროცესების გამარტივება. სტუდენტებისა და კურსდამათავრებულების გადმოცემით მათთვის ბევრად ნაყოფიერი იქნებოდა თუ იხელმძღვანელებდნენ უშუალოდ მათთვის შექმნილი ბებიაქალის საქმიანობაზე მორგებული ლიტერატურით. სასწავლო პროცესი, ისევე როგორც დარგი, რომელსაც აღნიშნული პროგრამა შეასწავლის არის მუდმივად ცვალებადი პროცესი. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა სტუდენტებში განავითაროს ინფორმაციის მოძიების უნარი სარწმუნო და ავთენტური წყაროებიდან, რაც თავისთავად დადებითად აისახება როგორც უახლესი და სარწმუნო ინფორმაციის მიღების ხარისხზე, ასევე უცხოური ენის კომპეტენციაზე. სტუდენტების თქმით ინფორმაციის მოძიების მიზნით ისინი იყენებენ „Google“-სა და „Wikipedia“-ს, რაც თავისთავად არ წარმოადგენს მტკიცებულებაზე და მეტა ანალიზზე დაფუძნებულ ინფორმაციას და ვერ იქნება შესაბამისი ინფორმაციის მიმწოდებელი წყარო.

მნიშვნელოვანია სტუდენტებმა იცოდნენ ისეთი საძიებო წყაროები როგორიც არის :

<https://www.medscape.com/>

<https://www.cdc.gov/>

<https://www.nursingworld.org/>

<https://www.uptodate.com>

და სხვა

ინტერვიუს შედეგების მიხედვით დამსაქმებელი სტუდენტებისა და კურსდამათავრებულების უცხო ენის ცოდნის დაბალ დონეს აფიქსირებდა, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა გაზარდა უცხოური (გერმანული) ენის კომპონენტი. შესაძლებელია ეს ფაქტი აიხსნას იმით, რომ მედიცინის სფეროში ინფორმაციის და უცხოენოვან კოლეგებთან კომუნიკაციის მთავარ ენას ინგლისური ენა წარმოადგენს. სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს ინგლისური ენის შესწავლის საკითხი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა-საექთნო საქმე (ბებიაქალი);
- თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევა სტუდენტთა აზრის შესახებ;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუ;

რეკომენდაციები:

- ✓ მნიშვნელოვანია სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ უნარი მოიძიონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სარწმუნო ინფორმაცია;
- ✓ ბებიაქალზე მორგებული მეტი საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნა - ამ გზით ბაკალავრი ბებიაქალის პროგრამის სტუდენტი გაეცნობა პაციენტების საფუძვლიან საექთნო შეფასებას, ბებიაქალის საექთნო პროცესს, ბებიაქალსა და პაციენტს შორის

კომუნიკაციას, კულტურულ განსხვავებებს, ჯანმრთელობის ფუნქციონალურ ასპექტებსა და საექთნო პრაქტიკის მთლიან ჩარჩოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
სასურველია განიხილოს ინგლისური ენის შესწავლის საკითხი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input checked="" type="checkbox"/> Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სასწავლო კურსის პირველსავე ეტაპზე განხილულია პროფესიის არსის გაცნობის პრაქტიკული მეცადინეობა. უნივერსიტეტს გააჩნია ფართო სპექტრით და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით წარმოდგენილი სიმულაციური ლაბორატორია, სადაც შეისწავლება ბაზისური მანიპულაციები, BLS, ACLS, იდგმება მშობიარობის სიმულაცია. სასურველი იქნება თუ იმავე ლაბორატორიაში სტუდენტები მომზადდებიან რთული ინვაზიური პროცედურების ასისტირების კუთხით (ენდოტრაქეული ინტუბაცია, ცენტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაცია (დედა, ახლაშობილი) და სხვა, რაც მათ მოამზადებს და მეტად კომპეტენტურს გახდის კლინიკური დისციპლინების დაუფლებისთვის.

მისასაღმებელია ინფექციის კონტროლის საფუძვლების კომპონენტის შესწავლა, მათ შორის: ინფექციის გავრცელების გზები, პრევენცია, ინფექციური დაავადებების დროს სპეციალური და საიზოლაციო ღონისძიებების გამოყენების პრინციპები, პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებები, რადგან კლინიკებში უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება ინფექციის კონტროლის მედდის კომპონენტი. საჭიროა ამ დისციპლინას დაეთმოს მეტი პრაქტიკული მეცადინეობა იზოლაციის, პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენების (სამედიცინო დაწესებულებაში), სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციის გავრცელების პრევენციის წესების დანერგვის შესწავლის მიზნით. აუცილებელია სტუდენტებმა პრაქტიკული საათები დაჰყონ ყველა არსებულ განყოფილებაში, მათ შორის, სასტერილიზაციო, სამრეცხაო. სტუდენტები პრაქტიკულად შეისწავლიან განყოფილებაში სუფთა და კონტამინირებული არეების განლაგებას, სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციასა და ლიკვიდაციის წესებს, სუფთა და კონტამინირებული ინვენტარისა და თეთრეულის ტრანსპორტირებას.

მნიშვნელოვანია კლინიკური პრაქტიკული უნარების კრედიტების გაზრდა და სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ბეზიაქალის (ინსტრუქტორის) ჩართვა. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ როდესაც ხდება მათი მიმაგრება განყოფილებაში პრაქტიკოს ბეზიაქალზე შესაძლებელია მას ჰყავდეთ ბევრი მელოგინე და მათ არ დაეთმოთ სათანადო ყურადღება. მნიშვნელოვანია და საჭიროა პრაქტიკის ობიექტზე მეტი ბეზიაქალის ჩართვა. პრაქტიკის ობიექტი წარმოადგენს პრაქტიკული უნარების განვითარების ფუნდამენტურ და კრიტიკულ გარემოს. აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ის რომ პრაქტიკის გამნახორციელებელ პერსონალს დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა და მოხდეს მათი ახლო მონიტორირება, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ ძირეულად შეისწავლონ საკითხი.

პრაქტიკული კრედიტების გაზრდა წარმოადგენს სწავლების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგან კლინიკური სწავლება არის ბეზიაქალის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ბეზიაქალი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ და ავადმყოფ პირებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნის, უნარებისა და კონპეტენციების საფუძველზე სწავლობს სრულფასოვანი ბეზიაქალის მომსახურების ორგანიზებას, განხორციელებასა და შეფასებას. მომავალმა ბეზიაქალმა უნდა ისწავლოს არა მარტო როგორ იმუშაოს გუნდში, არამედ ასევე მართოს გუნდი და ორგანიზება გაუწიოს მის სრულ მომსახურებას, ასევე მიაწოდოს შესაბამისი განათლება ინდივიდებსა თუ მცირე ჯგუფებს, როგორც სამედიცინო დაწესებულებაში, ასევე მოსახლეობაში/საზოგადოებაში.³ (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში, DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation

(EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System

³ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში

(‘the IMI Regulation’⁴))

სასურველია პრაქტიკის მხრივ გათვალისწინებული იყოს შემდეგი რეკომენდაციები:

პრაქტიკული და კლინიკური მომზადება

მომზადება უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ:

- ორსული ქალის კონსულტირება, სულ მცირე 100 პრენატალური ვარჯიშის ჩათვლით;
- სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა;
- სტუდენტის მიერ სულ მცირე 40 მშობიარობის მიღება, სადაც ეს რაოდენობა ვერ მიიღწევა დაწესებულებაში საკმარისი მშობიარე ქალების არ ყოფნის გამო, მაშინ რაოდენობა შეიძლება შემცირდეს 30-მდე, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ასისტირებას გაუწევს შემდეგ 20 მშობიარობას;
- აქტიური მონაწილეობა არასწორ პოზიციაში მყოფი ბავშვის მშობიარობისას, სადაც ეს შეუძლებელია ასეთი შემთხვევების არარსებობის გამო, პრაქტიკა უნდა განხორციელდეს სიმულაციების მეშვეობით;
- ეპისტომის გაკეთება და ქირურგიული გაკერვის ინიცირება. ინიცირება მოიცავს თეორიულ ინსტრუქტაჟსა და კლინიკურ პრაქტიკას;
- სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი;

სულ მცირე 100 მშობიარობის შემდგომი/ახლად ნამშობიარეები ქალისა და ჯანმრთელი ახალშობილის ზედამხედველობა და მოვლა (გასინჯვის ჩათვლით);⁵ (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში, DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation

(EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System (‘the IMI Regulation’⁶))

⁴ DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System (‘the IMI Regulation’)

⁵ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში

ასოცირება მუხლი 359

⁶ DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System (‘the IMI Regulation’)

უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან საუბრისას გამოიკვეთა პრაქტიკული კომპონენტის გაუმჯობესების საჭიროება. ამას ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და გააუმჯობესა ზემოთ ხსენებული ასპექტი თავის წინა გამოცდილებასთან შედარებით, თუმცა დამსაქმებელი, ლექტორი, სტუდენტი და კურსდამთავრებული აღნიშნავენ პრაქტიკული საათების გაზრდის აუცილებლობას და მის სარგებელს. უფრო მეტიც სტუდენტებმა აღნიშნეს რომ, რომ არა პრაქტიკული კომპონენტის ზეგავლენა მათ არჩევანზე, ისინი ისარგებლებდნენ მობილობის უფლებით და გადავიდოდნენ სხვა ფაკულტეტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა-საექთნო საქმე (ბებიაქალი);
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ლექტორებთან ინტერვიუ;

რეკომენდაციები:

პრაქტიკული კრედიტების გაზრდა. თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას (120 ECTS თუ 1 კრედიტი =30სთ-ს). ორსული ქალის კონსულტირება, სულ მცირე 100 პრენატალური ვარჯიშის ჩათვლით; სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა; სტუდენტის მიერ სულ მცირე 40 მშობიარობის მიღება, სადაც ეს რაოდენობა ვერ მიიღწევა დაწესებულებაში საკმარისი მშობიარე ქალების არ ყოფნის გამო, მაშინ რაოდენობა შეიძლება შემცირდეს 30-მდე, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ასისტირებას გაუწევს შემდეგ 20 მშობიარობას; აქტიური მონაწილეობა არასწორ პოზიციაში მყოფი ბავშვის მშობიარობისას, სადაც ეს შეუძლებელია ასეთი შემთხვევების არარსებობის გამო, პრაქტიკა უნდა განხორციელდეს სიმულაციების მეშვეობით; ეპისტომის გაკეთება და ქირურგიული გაკერვის ინიცირება. ინიცირება მოიცავს თეორიულ ინსტრუქტაჟსა და კლინიკურ პრაქტიკას; სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი; სულ მცირე 100 მშობიარობის შემდგომი/ახლად ნამშობიარეები ქალისა და ჯანმრთელი ახალშობილის ზედამხედველობა და მოვლა (გასინჯვის ჩათვლით);⁷ (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში, DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System

⁷ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში

(‘the IMI Regulation’⁸)

- ✓ ხელშეკრულება მეტ პრაქტიკულ ბაზებთან;
- ✓ სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ბეზიაქალის (ინსტრუქტორის) ჩართულობა. კლინიკურ ინსტრუქტორებს (ბეზიაქალი) მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ მომავალი ექთნის აღზრდაში. კადრი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული ბეზიაქალის პრაქტიკაში, ასევე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში, რაშიც ძალიან დიდი დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტი;
- ✓ პრაქტიკის გამნახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მეტი კონტროლი, დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა და მოხდეს მათი ახლო მონიტორირება, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ ძირეულად შეისწავლონ საკითხი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ერასმუს+ გაცვლით საკრედიტო პროგრამის ფარგლებში ლატვიის უნივერსიტეტში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისება;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

⁸ DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System (‘the IMI Regulation’)

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ პროგრამა დაფუძნებულია და აგებულია სტუდენტზე ორიენტირებულ პრინციპზე, რაც ავითარებს სტუდენტების უნარ-ჩვევებს, კრიტიკული აზროვნების უნარს და აღრმავებს სტუდენტის აკადემიურ ცოდნას. პროგრამის ასათვისებლად გამოყენებულია სხვადასხვა სწავლების მეთოდი:

✓ სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები, სადაც სტუდენტი აქტიურად არის ჩართული, მოიცავს შემთხვევათა სწავლებას, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, ემპირიულ (როლთა განაწილება, სიმულაცია, თამაში) სწავლებას, სემინარებსა და პროექტებს. სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების ფორმებია: ინტერაქტიური ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სემინარები, კოლოქვიუმები; სიმულატორების და მულაჟების გამოყენება; კლინიკურ გარემოში სწავლება სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;

✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;

სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ამ მეთოდით სწავლებას ესაჭიროება ზემოთ ხსენებული რეკომენდაცია. სტუდენტმა უნდა შეძლოს სარწმუნო ინფორმაციის მოძიების უნარის განვითარება, რათა მოახდინოს პრობლემის და საექტონო მართვა;

✓ სწავლა გამოცდილებით გამოიყენება, ძირითადად, კლინიკური სწავლების ეტაპზე. მისი არსი არის სწავლა გამოცდილების შექმნის გზით და მის საფუძველზე. ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში სასურველია მეტი სტუდენტი იყოს ჩართული, რადგან ამ გზით სტუდენტებს მიეცემათ საშუალება გაიზიარონ განვითარებულ ქვეყნებში დანერგილი საექტონო პრაქტიკა და გაზიარებით მოახდინონ ინფორმაციის დისემინირება.

✓ ჯგუფური მუშაობა;

✓ დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს.

უნდა აღინიშნოს სტუდენტების კმაყოფილება სწავლების მეთოდების მიმდინარეობის მამართ, რაც თავისთავად ცხადყოფს უნივერსიტეტის მიერ საკითხისადმი მაღალკვალიფიციურ დამოკიდებულებას.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასებაში, როგორც ზემოთ წარმოდგენილია, გასამიჯნია ერთმანეთისგან სწავლების მეთოდები და ფორმები. თვითშეფასების დოკუმენტში პრეზენტაცია და დისკუსია განხილულია, როგორც სწავლის მეთოდი, რაც რეალურად წარმოადგენს სწავლების აქტივობას. ასევე შესაბამისობაში და ჰომოგენურ ფორმაში მოსაყვანია სილაბუსებში მითითებული ნაწილი.

უნდა გაიმიჯნოს შემდეგნაირად:⁹

სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა-საექთნო საქმე (ბებიქალი);
- თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევა სტუდენტთა აზრის შესახებ;
- პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ;

რეკომენდაციები:

სწავლების მეთოდებსა და ფორმებთან დაკავშირებით მოხდეს თვითშეფასებისა და სილაბუსების შემდეგ კანონთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მეტი სტუდენტის ჩართვა ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც რეგულირდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანება). 2018 წლიდან უნივერსიტეტი გადასულია შეფასების დიგიტალურ სისტემაზე და აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ასევე სტუდენტების შეფასება ხდება პორტოფოლიოს მეშვეობით. პორტფოლიოთი შეფასება ხელს უწყობს კლინიკური უნარების განვითარებას და ახდენს ჯეროვან შეფასებას. შეფასების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინაზე. სიმულაციურ ლაბორატორიაში არსებობს „პერფორმანსის შემოწმების ჩეკლისტები“, რაც გამოცდას ხდის სანდოს და საგრძნობლად ამცირებს სუბიექტურობის რისკებს.

სასწავლო კურსის/დისციპლინის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის/დისციპლინის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება: ა) დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში (იხ., ასევე, ქვემოთ).

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

A-დან F-მდე შეფასების სისტემაა გამოყენებული

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასება 91 ქულა და მეტი

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81- 90 ქულა

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა

FX ნიშნავს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ დავალების ხელმეორედ შესრულება, როგორც კი, გამოხმაურებას მიიღებენ თავიანთ შეცდომებთან დაკავშირებით. F შეფასება კი ნიშნავს, რომ სტუდენტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს სემესტრი.

შედეგები ხელმისაწვდომია აკადემიური და მოწვეული მასწავლებლებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოყენებულია სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

გასაჩივრების პროცესი:

ა) სტუდენტს შუალედური შეფასების გასაჩივრების უფლება აქვს ამ უკანასკნელის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამისთვის ის განცხადებით მიმართვას სასწავლო კურსის ხელმძღვანელს;

ბ) სტუდენტს გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრების უფლება აქვს დეპარტამენტში გამოცდის დასრულებამდე. საკითხის განმეორებით განხილვაში მონაწილეობს გამოცდაზე დამსწრეთა აკადემიური პარსონალის არანაკლებ სამი პირი;

სტუდენტების და ლექტორების ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა ფაქტები, როდესაც სტუდენტმა გააპროტესტა მიღებული შედეგი და შესაბამისი განხილვის საფუძველზე საკითხი გადაწყდა სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

სტუდენტებისთვის ტარდება OSCE ფორმალური ტიპის გამოცდა სიმულაციის ლაბორატორიაში, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათში კრიტიკული აზროვნების უნარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სტუდენტებისთვის ტარდება OSCE არაფორმალური ტიპის გამოცდა

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშისა და ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, დაწესებულება აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილებას ასაბუთებს იმ აქტივობებით, რომლებიც უნივერსიტეტში ხორციელდება. ამასთანავე, საგანმანათლებლო პროგრამა არ არის ახალი, იგი განმეორებით გადის აკრედიტაციის პროცესს (21.10.2011 გადაწყვეტილება №127). შესაბამისად, სტუდენტთა მიღწევებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის ობიექტურად შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა შეხვედრები როგორც სტუდენტებთან, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგან. საექთნო საქმის (ბეზიაქალი) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს კონსულტირებას უწევს ფაკულტეტის დეკანი. იგი სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში ხვდება პირველსემესტრელებს. შეხვედრაზე იგი სტუდენტებს წარუდგენს პრეზენტაციას მომავალი პროფესიის შესახებ. ესაუბრება სტუდენტის უფლება-მოვალეობებზე, სტუდენტის სტატუსსა და მისი შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის მიზეზებსა და მექანიზმებზე, მობილობის, მათ შორის - საერთაშორისო მობილობისა და სტაჟირების შესაძლებლობებზე, სტუდენტის მიღწევების შეფასების წესსა და დატვირთვაზე. აღნიშნული დასტურდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ისე სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად.

ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის კონსულტირების მიზნით თითოეულ სასწავლო კურსში პედაგოგის აკადემიურ დატვირთვას ემატება საკონსულტაციო საათები. თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილების – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა“ მიხედვით, აკადემიური პერსონალი ვალდებულია სტუდენტთა საკონსულტაციოდ გამოყოფს კვირაში მინიმუმ 2 საათი. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ნაკლებად ფლობენ კონკრეტული საათობრივი განრიგის შესახებ

ინფორმაციას, თუმცა, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ აქვთ კომუნიკაცია და მხარდაჭერა შესაბამისი აკადემიური პერსონალისგან.

თსსუ-ში სტუდენტურ აქტივობებს ახორციელებს სხვადასხვა ადმინისტრაციული და აკადემიური ერთეული, სტუდენტური თვითმმართველობა, ცალკეული სტუდენტური ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები. თსსუ და თსსუ-ის სტუდენტები თანამშრომლობენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სხვადასხვა სოციალური პროექტის ფარგლებში. მაგალითად, 2017 წლის ზაფხულში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, განხორციელდა მასშტაბური პროექტი „ჯანმრთელი საქართველო - მომავალი C-ს გარეშე“ რომელშიც მონაწილეობა მიიღო 388 სტუდენტმა, მათ შორის საექთნო საქმის (ბეზიაქალი) პროგრამის სტუდენტებმა.

უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს რამდენიმე საერთაშორისო ახალგაზრდული (სტუდენტური) ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა (EMSA, EDSA, EPSA, IFMSA), რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ყოველწლიურად მონაწილეობა მიიღონ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ კონფერენციებსა და შეხვედრებში. უშუალოდ ბეზიაქალის პროგრამის ავტორები სტუდენტებისთვის საერთაშორისო თუ ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის გაძლიერებას გეგმავენ და აღნიშნულს ერთ-ერთ სტრატეგიულ საკითხად მიიჩნევენ.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების გამოკითხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინფორმაციით მათ გარკვეული სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტის შესრულების შემდეგ აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ ამა თუ იმ კურსის მიმდინარეობა, ლექტორი და გარკვეული საკითხები, რაც სტუდენტთა კმაყოფილებას განსაზღვრავს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხვებში სტუდენტთა ჩართულობა არც თუ ისე მაღალია. ზოგიერთი მათგანი კი არ ფლობს შესაბამის ინფორმაციას.

კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული მხარდაჭერის კონტექსტში აღსანიშნავია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც სტუდენტების ინტერესების დაკმაყოფილება შეუძლია. სტუდენტებთან გასაუბრებით ასევე დგინდება პრაქტიკული სამუშაოებისადმი მზარდი ინტერესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან.
- თსსუ-ის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა.
- საექთნო საქმის (ბებიაქალი) ბაკალავრის პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომხილვა და ანალიზი

- o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები). რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები, პროფესორები და მოწვეული მასწავლებლები. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების (კონფერენციების ორგანიზება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, დარგობრივი პროფესიული საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვა, კლინიკური საქმიანობა -კლინიკურ სპეციალობებში და სხვ.) შესრულებას. სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შერჩევა ეფუძნება მათ სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკული გამოცდილების 5 წლის ანგარიშს. უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თსსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 აპრილის #23/6 დადგენილებით დამტკიცებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტის შესაბამისად. სრული აკადემიური პერსონალის რაოდენობა მათი დატვირთვა გაწერილია უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მარეგულირებელ დოკუმენტში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები გაწერილია და რეგულირდება დებულებით.

უნივერსიტეტის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას საბაკალავრო პროგრამასთან და ზოგადად სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისინი ეხმარებიან სტუდენტებს სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში და შემდგომი პროფესიული და კარიერული ზრდის დაგეგმვაში.

- პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი გამოცდილება, კვალიფიკაცია და ცოდნა პროგრამის შემუშავებისა და შემდგომი განვითარების საკითხებში,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი
- აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევა
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტი მუდმივად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასებას. ეს ხორციელდება როგორც ადმინისტრაციის მხრივ, ასევე სტუდენტების მიერ სპეციალური კითხვარის საშუალებით. ეს პროცესი აფასებს როგორც პროგრამას ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. მიღებული ინფორმაცია განიხილება ერთობლივად დეკანის, ხარისხის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები განიხილება აკადემიურ საბჭოზე. უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს სამომავლოდ აამოქმედოს შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი. შეფასების შედეგებზე დაფუძნებით უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის წახალისების სისტემაზეც.

- უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას. ასევე, აღსანიშნავია აღნიშნული პერსონალის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების დაფინანსებაში. უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს შემდგომი სასწავლო წლისათვის გაზარდოს ამ ტიპის დაფინანსების ბიუჯეტი. უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედებს პედაგოგთა გადამზადების ცენტრი, სადაც მათ საშუალება აქვთ აიმაღლონ პედაგოგიური გამოცდილების კვალიფიკაცია თანამედროვე მეთოდოლოგიით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, და სხვა).
- თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი
- მოთხოვნილი დოკუმენტაცია: აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები,სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია. ტექნიკური აღჭურვილობა საკმარისია პროგრამის განხორციელებისთვის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით. თუმცა მოძველებულია და საჭიროებს მოდერნიზებას. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა მეტწილად ახალია და აკმაყოფილებს/უზრუნველყოფს პროგრამის სრულყოფილ განხორციელებას და სწავლის შედეგებზე გასვლას. ბიბლიოთეკაში ვიზიტისას ვერ მოიძებნა სახელმძღვანელო, რომელიც მითითებული იყო სილაბუსში „შინაგანი მედიცინა“ - „შინაგანი სნეულებები და მედდის მოვალეობა“ - ვაჟა გვანცელაძე, გიორგი კალანდარიშვილი 2012 წელი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე დაგვხვდა 2006 და 2010 წლის გამოცემები.

- უნივერსიტეტს აქვს წვდომა ფართო საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე, რომელზე წვდომაც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უფასოა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ისინი არ იყენებენ ბაზებს აქტიურად. მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სტუდენტებში ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ბაზების გამოყენების აუცილებლობის საკითხის მიმართ ცნობიერების ამაღლება;
- საბიბლიოთეკო რესურსი პერიოდულად ახლდება. სასწავლო ოთახები და ინვენტარი, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ოთახი (კომპიუტერები, პრინტერი, სკანერი) ხელმისაწვდომია ყველასთვის. კლინიკური ბაზების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ვიზიტის დროს დათვალიერებული საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზა შესაბამისობაშია პროგრამის

განხორციელებისათვის, უზრუნველყოფილია სტუდენტური სივრცეებით და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კარგ საშუალებას იძლევა. უნივერსიტეტს აქვს ლიფტი და გათვალისწინებულია სივრცეები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

სიმულაციური ლაბორატორია აღჭურვილია ყველა იმ მულაჟითა და სახარჯო მასალით, რასაც საჭიროებს პრაქტიკული უნარების განვითარების ასპექტი. იგივე შეიძლება ითქვას პრაქტიკულ ბაზაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- თსსუ-სთან აფილირებული და ხელშეკრულებით დაკავშირებული კლინიკები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი;
- თსსუ-ს ბიბლიოთეკის დებულება;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) მოხმარების ლიცენზია;
- 2018-2019 წლებში შექმნილი ლიტერატურა;

რეკომენდაციები:

მნიშვნელოვანია სასწავლო ლიტერატურაზე იყოს შეუფერხებელი წვდომა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ბიბლიოთეკაში სამკითხველო სივრცის მოდერნიზება, რაც უფრო კომფორტულს გახდიდა მის მოხმარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საექთნო საბაკალავრო პროგრამის (ქართულენოვანი) ბიუჯეტი შეადგენს 37500 ₾. ძირითად რესურსს შეადგენს საგანმანათლებლო საქმიანობიდან შემოსავალები. საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრებით ხორციელდება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.
- ფაკულტეტის ბიუჯეტის მდგრადობას განაპირობებს უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომლის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, მზარდია და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.
- ხარჯები იგეგმება ბიუჯეტის შემოსავლებთან პარალელურად. ბიუჯეტი ნაწილდება ყველა აუცილებელი ხარჯების დაფინანსების შესაბამისად, ხოლო წლის ბოლოს ხდება გაწეული ხარჯების ანალიზი და მასზე დაყრდნობით ახალი ბიუჯეტის დაგეგმარება.
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუ პერსონალთან ○ თვითშეფასება ○ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია პროგრამის ბიუჯეტის შესახებ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროფესორებს/პედაგოგებს, დამსაქმებლებსა და პროგრამის სტუდენტებს.</p> <p>ხარისხის პროცესების მთელი დოკუმენტაცია ყოვლისმომცველია და მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისათვის, პრობლემების იდენტიფიცირებისათვის საჭირო აქტივობებისა და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ეფუძნება კურიკულუმის შეფასების ასპექტებს, სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის სტრატეგიებს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს,</p>

სტუდენტთა შეფასების სისტემას, აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხარისხს, სტუდენტთა მოსაზრებების გამოკითხვას და სხვ. ხარისხის შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება სიტუაციის ანალიზს ხარისხის შეფასების მიზნის, ხარისხის ინდიკატორების, ჩატარებული სამუშაოს და მტკიცებულების მიხედვით.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კითხვარები და მათი შედეგების ანალიზის დოკუმენტები) ისე ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის გასაუმჯობესებლად პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. დაწესებულება პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კითხვარების საფუძველზე ჩატარებული გასაუბრებები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიური პერსონალსა და დამსაქმებელთან ადასტურებს, რომ ყველა მხარე ჩართული იყო თვითშეფასების პროცესში და გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბებიასქალის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს (PDCA) შოვჰარტის ციკლის შესაბამისად.

თუ ფაკულტეტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად საჭიროება დგება პროგრამაში ცვლილებების შეტანის გამოვლენილი ცვლილებების მართებულობა, განიხილება აკადემიურ საბჭოზეც, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის დაგეგმილი ცვლილებების ვალიდურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
- კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტთა გამოკითხვა დეკანატის მუშაობასთან დაკავშირებით
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზი
- სტუდენტთა აზრის კვლევის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ისინი განიხილავენ და ასრულებენ მიღებულ რეკომენდაციებს. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ასევე ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ პროგრამა რეგულარულად გადის გარე შეფასებას პარტნიორის (საქართველოს ექთნებისა და თანაშემწეების პროფესიული განვითარების ასოციაციის) მიერ. შეფასების ფარგლებში ფასდება როგორც პროგრამის სტრუქტურა ისი მისი გამოსავლები, თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ასევე სწავლების მეთოდები და ლიტერატურა. გარე ხარისხის შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაცია (პრაქტიკული და კლინიკური ნაწილის გაძლიერება) ასახულია პროგრამაში პრაქტიკული ნაწილის გაძლიერებით.</p>

<p>პროგრამის კურიკულუმში განხორციელდა რიგი ცვლილებები პრაქტიკული უნარების სწავლების გაზრდის თვალსაზრისით. იგეგმება სასწავლო პროგრამის მომდევნო განვითარება როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების სწავლების გაძლიერებისა და სრულყოფის მიზნით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგები; ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ასევე ინტერვიუებზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მისი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ამასთან, მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. სტუდენტების გამოკითხვის მიზნით გამოყენებული კითხვარები მიზნად ისახავს სტუდენტის აზრის გაგებას, როგორც სწავლის მიმდინარეობაზე, ისე გამოყენებულ ლიტერატურაზე, სასწავლო მასალებთან წვდომაზე და ასევე სასწავლო პერსონალით კმაყოფილებაზე. ფაკულტეტის დეპარტამენტებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სტუდენტები ძირითადად კმაყოფილი იყვნენ აკადემიური პროცესის მიმდინარეობით, ლექციების ინფორმატიულობით, პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული სწავლების მეთოდებით,
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის

თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- დამსაქმებელთა მოსაზრება პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებზე, თბილისი, 2019 წ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საექთნო საქმის (ზეზიაქალი) ბაკალავრის პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

--	--	--	--	--

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ დაუსი 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარინე თოიძე 

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ეკა აბუანდაძე 

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ანი ბილანიშვილი 